ხუთშაბათი, 1918 წ. მაისის 16 № 92

ხუთშაბათი, 1918 წ. მაისის 16 № 92

ყოველდღიური გაზეთი

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ., რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უსახელოდ გამოგზავნილი მასალა უყურადღებოდ რჩება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კონტორა**

პირველ გვერდიდან ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ ხაზი თვით და ცალკე—18 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხაზმელთვიური განცხადება თითოეული ზომით: 20×2—15 მანეთი, 80×2—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფულები და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გაეგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს.მდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76, ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## საგულისხმიერო ცნობები

იტალიელების ცნობით, გერმანელები ინგლისელების წინააღმდეგ, პოპურინგეს მიმართულებით, ახალ შეტევისთვის ემზადებიან.—რუმინეთთან დადებულ საზავო ხელშეკრულობით დობრუჯა ბულგარეთს უერთდება.

ბოლშევიკები მთავრობის ჯარმა და წითელგვარდიელებმა მდ. კოდორის იქით გაჰფანტეს.

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფი ქვრივი ეკატერინე მიხეილის ასული ბოკერიაძისა შვილებით—სალომეთი და ნინოთი, ძმა გრიგოლ დიმიტრის ძე და მეუღლე მისი ქრისტინე შვილებით და სიძეებით, მოყვარე სოლომონ მიხეილის ძე ლაფერაშვილი და ეფემია ყორღანაშვილისა ულრმეს მადლობას უცხადებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომელთაც პატივი სცეს ვერაგულად მოკლულს

**ივანე დიმიტრის ძე გოჭორაძეს**

პირადი დასწრებით პანაშვიდებზე და გასვენებაზე.

1—1617—1

## ძველი გზით

ჩვენს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობიდან ჩვენი მმართველი წრეები, ჯერ-ჯერობით რაიმე გამოსავალ გზებს ვერ ნახულობენ. ყოველივე ის, რაც ჩვენს ქვეყანაში, ხდება, რომ საბოლოოდ დაშლის და გაანადგურებს ერს, თუ ის კიდევ გაგრძელდა, ეს მათ კარგად იციან. სოციალისტურმა მთავრობამ ისიც კარგად იცის, რომ ჩვენს სამშობლოში შექმნილი მდგომარეობის ბრალი მხოლოდ იმ პოლიტიკას ეკისრება, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ რევოლუციის დასაწყისიდანვე. პირველ ხანებში ისინი ამართლებდნენ თავის მიმდევრობას და მას ერთადერთ ხალხისთვის სასარგებლო საქმედ სახავდნენ. დღეს მათ ასეთი გამბედაობა უკვე აღარ აქვთ და თვითონვე ღიარებენ, რომ ჩვენი ხალხი, საშინელს ჯადოსნურს წრეში მოექცა და ამ რკალიდან გამოსავალს ისინი ვეღარ ხედავენ.

მთავრობის გაზეთი, თუ მთავრობის პროპაგანდისტები ვეღარ მალავენ, რომ თუ აქამომდე ჩვენს მთავრობასა და ხელმძღვანელ პარტიას—სოციალ-დემოკრატიას, ჩვენს ქვეყანაში მაინც ჰქონდა ძალა და გავლენა, რომ მათი დადგენილებები და პროექტები ასე თუ ისე, ჩვენს სამშობლოში მაინც ხალდებოდა და ხორციელდებოდა, დღეს ქართველი ხალხი, არც ამერეთში და არც იმერეთში, სრულიად აღარ ემორჩილება არც მთავრობასა და არც რომელიმე პარტიას. ეს, რასაკვირველია, თავიდანვე იყო მოსალოდნელი. სახელმწიფოს მართვა არავის არ ყოფილა შესაძლებელი მარტოოდენ ფრაზებით, სიტყვებით და დაპირებებით. ხალხი ცოცხალი არსებაა და მას აქვს მრავალი მოთხოვნილება, რომელიც უნდა დაიკმაყოფილოს მან ცხოვრებაში. და როდესაც, მთავრობა და მისი პოლიტიკა ისეა მოწყობილი, რომ ნაცვლად დაკმაყოფილებისა და შველისა მხოლოდ ხელ-ფეხი აქვს შებორკილი ხალხს. ყველა ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, როდესაც შექმნილია ისეთი პირობები, რომ ხალხის ყველა ეს საჭიროებანი დაუკმაყოფილებელი რჩება ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა ხანგრძლივად ვერ გასტანს. ხალხი ზურგს უქცევს იმ მთავრობასა და მიმართულებას, რომელიც მას ხელ-ფეხს უბორკავს და თავისუფალ განვითარებას გზას უხშობს.

ჩვენი სოციალისტური მთავრობის მუშაობა აქამომდე მხოლოდ უარყოფითი იყო. ნგრევა და რღვევა, შეზღუდვა, აკრძალვა და შეფერხება. მას არაფერი შეუქმნია ჯერ. არავითარი რეფორმა არ განუხორციელებია, ამას დღეს ისინიც ვეღარ მალავენ. ხალხმა ვერ მიიღო ვერაფერი, გარდა იმისა, რომ მას ძველი მთავრობა მოაშორეს და წინ ნაცვლად ახალი ვერ გაუჩინეს. უმთავრობობა გრძელდება ერთი წელიწადი და არ არის გასაკვირველი რომ ასეთ პირობებში ჩვენი ქვეყანა ანარქიისა და საერთო არევ დარევის ასპარეზი გახდა.

მთავრობა ვერ ჰხედავს გამოსავალს ასეთ მდგომარეობიდან. ის უძლურია და უმწეო მისი პოლიტიკით შექმნილ პირობების მოსპობასა და წესრიგისა და მშვიდობიანობის აღდგენაში. ხალხს კი არ შეუძლიან ხანგრძლივად ატანა ასეთი მდგომარეობისა. მას უნდა მყუდრო ცხოვრება, ვინაიდან მხოლოდ მშვიდობიან სახელმწიფოებრივ ურთიერთობის დროს არის წესიერი ეკონომიური განვითარება—მეურნეობისა, მრეწველობისა და ალებ-მიცემობის წარმოება. უამისოდ კი ერს ღატაკობა და სიმშილი მოელის, რაც კარგა ხანია უკვე ეწვია ჩვენს ერს.

მთავრობა ვერ ხედავს გამოსავალ გზას ასეთ მდგომარეობიდან, ვინაიდან მას კიდევ არა სჯერა უკუაგდოს ის პროგრამები და ლოზუნგები, რომელნიც ჯერ არსად არ განხორციელებულა სხვაგან და ჩვენში მათი განხორციელების ცდამ ასეთი საშინელი მდგომარეობა შექმნა.

## კონსტიტუცია

ჩვენი კონსტიტუცია—იმ სახით, რა სახითაც ეხლა ის იწერება და რა სახითაც უნდა საბოლოოდ შემუშავდეს —„ცხვარ-ჩამოშვებულია"! მე არ ვიცი როგორ აქვთ წარმოდგენილი ეს კონსტიტუცია კავკასიის სხვა ერებს, მაგრამ ის კამათი, რომელიც სწარმოებს კონსტიტუციის ძირითად საფუძვლებზე საქართველოს ეროვნულ საბჭოში—ფიქრი და აზრია უფრო გაზით ამოგლეჯილი, თითიდან გამოწოწნილი და თმებით მოთარეშული, ვიდრე თავისუფლების ხარტიის შექმნის სურვილით ნაკარნახევი გამედგული აზრები.

ეს არც საკვირველია.

ეროვნული თავისუფლება ყოველ დროს და ყოველ ერისთვის პირდაპირი ნაყოფი იყო ეროვნულ თავისუფლებისადმი მისწრაფებისა, იგი მოდიოდა როგორც ბრწყინვალე შედეგი ბრძოლისა და გამარჯვებისა. ჩვენში „ცოტა" სხვანაირად მოხდა.

ის ადამიანები, რომლებიც ეხლა სათავეში უდგანან მართველობას და ცხოვრებას ყველა ეს მინისტრები და ლიდერები და თვით ხალხიც „რევოლუციონურ დემოკრატიად" წოდებული, არც ფიქრობდნენ, არც ისწრაფოდნენ ამისკენ. მათი მიზნები უფრო „ფართო" იყო, მისწრაფება უფრო „დაუშრეტელი".

და ის, რაც დამარცხებულ რევოლუციის ნაფურთლებზე ხდება დღეს—ნაციონალური განთავისუფლება ერებისა ეს ყოვლად კანონიერი მოვლენა ჩვენთვის, მხოლოდ „ფუქსია" მათთვის, გამოიძვრალი ისტორიულ მოვლენათა განვითარების პროცესში, უსიამოვნო მეჭეჭი ცხვირზე, რომელსაც ძალაუნებურად მიელა და პატრონობა სჭირია.

როცა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის ისტორია დაიწერება,—არა ნაკლებ გაცვიფრებას გამოიწვევს ის, თუ როგორ „ასაბუთებენ" დროთა მეფენი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აუცილებლობას.

როდესაც წერეთელს შეეკითხნენ, რა არის მიზეზი, რომ არ უხარიან მას ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა—მან უპასუხა:

— არ მიხარიან, რადგანაც ეს დამოუკიდებლობა ისე მოვიდა, როგორც შედეგი დამარცხებისა.

მაგრამ ვისი? რისი?

ცხადია არა საქართველოსი, არა დამოუკიდებლობის იდეისა! ამათ დაამტკიცეს უნარი სიცოცხლისა.

არა! წერეთლის სიტყვებში უნდა ვიგულისხმოთ სულ სხვა. ოდესღაც აცეცხლებული და ეხლა მთლად დაფერფლილი წერეთელი მხოლოდ საქართველოში გამოტყდა, რომ იგი დაიწვა.

და ჩვენ ვიცით, თუ ვინმე დამარცხდა, დამარცხდა მენშევიზმი, რევოლუცია, რუსეთი! საქართველო ჯერ კიდევ დაუმარცხებელი იყო.

მაგრამ წერეთელი და მისი მეგობრები უკვე საბოლოოდ განიცდიდნენ იმ იდეის გავლენას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა მოსულიყო, როგორც შედეგი სრულის და ყოვლადმხრივის დამარცხებისა, როგორც ნაყოფი რეაქციისა და მანამდე არ შეუდგნენ საქართველოს კონსტიტუციის წერას, სანამ თვით საქართველოც არ დამარცხდა.

როდესაც საქართველო ბათომის ფორტებზე დაეხვრიტა—მაშინ გვითხრეს:

— დასწერეთ საქართველოს კონსტიტუცია!

და მე მესმის, რატომ გაისმიან ის მოწყენილი სიტყვები, უცვლელი და აღფრთოვანებას მოკლებულნი, რომელთა მწუხარე კილო და ხმა როგორც მუხლები, მაგრამ „დაჩოქილი მუხლები" ისე უნდა შევიდნენ ჩვენი კონსტიტუციის ტექსტში.

ეროვნულ საბჭოში ეხლა საკითხი ასე სდგას:

— ფედერაცია.

— კონფედერაცია.

— თუ სრული დამოუკიდებლობა საქართველოსი? ალბად საჭიროა კიდევ ახალი დამარცხება რომ გვითხრან:

— აჰა, წაიღეთ სრული დამოუკიდებლობა! მაგრამ, ბატონებო, ამდენი დამარცხება სად მიგვიყვანს?

შ. ამირეჯიბი.

## ეროვნული საფრთხე

კალიასავით მოედო ჩვენს ქვეყანას სომეხ ლტოლვილთა ტალღა. ათასობით, ათიათასობით, ასიათასობით სახლდება ჩვენში უცხო ელემენტი, უცხო ტომის და კულტურის ხალხი... ბრბო გაუნათლებელი, გაბოროტებული, უღირსად შოვინისტური აზრებით გამსჭვალული... მოდის და ედება ჩვენს ქვეყანას, მკვიდრად სახლდება აქ, ჩვენის შორსგამჭვრეტ და ლმობიერ მთავრობის ყოველგვარის დახმარებით და ხელის შეწყობით...

სხვადასხვა აგიტატორები დაძვრებიან ამ ბრბოში. ათასს პროვოკაციას ავრცელებენ:—თქვენი უბედურობა ქართველების ბრალია, ქართველებმა გიღალატეს, თქვენი მიწა-წყალი სხვას მისცეს, ახლა თქვენ იმათსას დაეპატრონეთ. სომხეთა ეროვნული საბჭო, როგორც ჩვენს გაზეთშიაც იყო უკვე აღნიშნული, **უკრძალავს გადმოხვეწილებს საქართველოდან გასვლას, საქართველოს საზღვრების გაცილებას...**

ერთის სიტყვით, აღარავისთვის არ უნდა იყოს დაფარული პოლიტიკა სომეხთა მმართველ წრეებისა. ისინი დღეს აშკარად სჩადიან იმას, რასაც ამ ასის წლის განმავლობაში ფარულად აწყობდენ...

დღეს, როდესაც სომხობის გამამაგრებელი რუსეთის თვითმპყრობელობა აღარ არის, როდესაც სასიკვდილოდ დაიჭრა რუსეთის იმპერიალიზმი და იფანტება რუსეთის ორიენტაცია, როცა გაჰქრა ის რეალი გარეშე ძალა, რომელსაც ეყრდნობოდა მუდამ სომხეთი და რომელზედაც აშენებდა თავისს პოლიტიკურ ზრახვათ, როცა დღის წესრიგში დასმულია ამიერკავკასიის ერთა საბოლოო ტერიტორიალური გადამიჯვნა,—სომეხთა მეთაურთ ისეთს რადიკალურს საშუალებას მიჰმართეს, როგორიც არის **მშვიდობიანი დაპყრობა ჩვენი ქვეყნისა, ლტოლვილთა მოწყობის ხაზით სომეხთა საქართველოში გადმოსახლების წამოწება, საქართველოს მიწა წყალზე სომხობის აბსოლიუტურ უმრავლესობის შექმნა.**

ვისაც აქვს თვალი ხედვად და ყური სმენად,—მისთვის ხსენებული პოლიტიკა სომეხთა მმართველ წრეებისა დღესავით ნათელი უნდა იყოს და არის კიდეც.

ვერას იგებენ მხოლოდ ჯერ კიდევ სოციალისტურ ბურანში მყოფნი ჩვენი მმართველი წრეები. ისინი კვლავ ადამიანებენ რევოლუციას. თავისის გავლენის განმტკიცებასა სცდილობენ ბაქო-ადერბეიჯანში. და აქვე, ცხვირწინ ვერა ჰხედავენ იმ საშინელს საფრთხეს, რომელიც კარს მოსდგომია მათს „ფედერაციას" მაინც, თუ არა სამშობლოს.

ერის განსაცდელის ჟამს მათი აზროვნება კვლავ ვერ გასცილებია ვულგარულ ინტერნაციონალურს შაბლონს.

ისინი კვლავ კოსმოპოლიტობენ.

კვლავ იცავენ ერთა შორის სოლიდარობის პრინციპს. გარედ ტაბლის გატანა არ ეხანებათ მაშინაც-კი, როცა შინ ბავშვები უტირიან.

არა თუ არ ეძებენ მათი ერის გამანადგურებელ-გამაჩანაგებელ მოვლენას, პირიქით: მილიონებს ხარჯავენ მის გასამაგრებლად და განსამტკიცებლად.

თვალსა ჰხუჭავენ ისეთს „უმნიშვნელო" მოვლენათა დანახვაზე, როგორიც არის მინისტრი კაჩაზნუნის განცხადება, რომ ის 15 მილიონი მანეთი, რომელიც გადადებულია ლტოლვილთა სასარგებლოდ, უნდა მოხმარდეს არა ლტოლვილთა გამოკვებას, არამედ **მათს დასახლებას და მოწყობას.**

მათ არ ესმით მთელი ტრაგედია (რა თქმა უნდა ჩვენთვის, ქართველებისათვის) იმ განკარგულებისა, რომელიც მოუხდენია მიწათ-მოქმედების სამინისტროს ერთ-ერთის ხელმძღვანელთაგანს საჩქაროდ შეადგინეთ თბილისის გუბერნიაში სომეხთა მოსახლეობის სია რაო და უფრო სისტემატიურად, უფრო უკეთესის გეგმით მოეწყოს სომხების დასახლება საქართველოში...

ჩვენ დიდად გვეშინია სომხის ერი, რომ ის თავის მეთაურთა უნიჭობით, მათის ბეცის პოლიტიკის წყალობით, საშინელს განსაცდელში ჩავარდა, მაგრამ თუ სომხობას სურს თავისი უბედურობა ჩვენის ხალხის უბედურობით გამოასწოროს, თავისი მომავალი ბედი ჩვენს უბედურობაზე ააშენოს—ნურას უკაცრავად, თუ მოკრძალებით მოვახსენებთ რომ შინ რომ ბავშვები სტირიან, გარედ ტაბლას რა უნდა, ჯერ თავიდან თავი. ჯერ საქართველო და შემდეგ ჰაისტანის იდუმალი ზრახვანი...

ერთი რამ გვაკვირვებს ჩვენის სოციალ-დემოკრატებისაგან: სომხებისადმი ეხლანდელ თანაგრძნობის გამოჩენის დროს თუ მათ თავიანთი სამშობლო ავიწყდებათ.

პარტიული ეგოიზმი როგორი არ ხმაურობს მაინც მათში?

ნუ თუ ვერ წარმოუდგენიათ, რომ საქართველოს საზღვრებში შემოჭრილი ურდოში ბრბო სიამოვნებით და სიხარულით იყენებს მათს სტუმართმოყვარეობას, მაგრამ ყოვლად „უიმედოდ" ინტერნაციონალის ქადაგების გასაზიარებლად და საერთაშორისო მუშათა პარტიის ორგანიზაციის გასამტკიცებლად?!

თუ ეროვნული თავდაცვა არა სწამთ, პარტიული რადგან ავიწყდებათ?

ან იქნებ იმედი აქვთ „დაშნაკცაკანის" შოვინისტურ-კლერიკალურ ბრჭყალებს!

ბართვან თუნდ ათიოდე ახალი შეგნებული „ამხანაგი“? თუ არა და რას ფუყურებენ? რას აკეთებენ? ვისი იმედი აქვთ? რით უნდა უკუაქციონ ლტოლვილთა ტალღა, როცა ის დამკვიდრდება ჩვენში, მოეწყობა, გამაგრდება, ფესვებს გაიდგამს?

ურემი რომ გადაბრუნდა, გზავს ვედარ ვიპოვით!

დაუყოვნებლივ უნდა იქმნას მიღებული ფიცხელი და ნამდვილი ზომები ჩვენთვის მომაკვდინებელ ტალღის უკუსაქცევად, მის გავლენის გასაქარწყლებლად, და ეს ზომებია—საქართველოს საზღვრების შეკვრა შეიარაღებულის ძალით, როგორც ეს უკარაინამ უკვე განახორციელა და სულ მოკლე ხნის განმავლობაში საქართველოს საზღვრებიდან გადასახლება იმათი, ვინც აქ მოიკალათა ჩვენ დაუკითხავად, ჩვენის სურვილის წინააღმდეგ, ჩვენდა მომაკვდინებლად, დასალუპავად ჩვენის ქვეყნისა.

შეუპოვარი.

# სომხური პრესა
## ლტოლვილთა საკითხის გამო.

„მშაკის“ № 87-ის მეთაური ეხება ჩვენი დროის ერთ-ერთ საჭირ-ბოროტო საკითხთაგანს—ლტოლვილთა საკითხს. ის სწერს: დღემდის ჩვენი ზრუნვისა და წუხილის მიზეზი იყო ოსმალეთის სომხების ლტოლვილთა საკითხი. დღეს ამ ზრუნვასა და წუხილს მიემატა ერთი ახალი სატკივარი რუსეთის სომხეთისა, უმთავრესად, ყარსის ოლქისა და სურმალის მაზრის, სომეხთა აყრა და გამოქცევა.

დაიცალა ოსმალეთის სომხეთი, ეხლა იცლება ამიერ-კავკასიის სომხებით დასახლებული ოლქები.

თუ ოსმალეთის სომხეთიდან ლტოლვილთა რიცხვს დაახლოვებით 250.000 ვიანგარიშებთ, ხოლო ყარსისა და სურმალის ოლქებიდან კი—200.000-მდე, გამოდის რომ დღეს დაახლოვებით 450.000 სომეხი გზასაა გაკრული და მომთაბარის ცხოვრებას ეწევა და ყველანი რაც შეიძლება შორს მიდიან, ჩრდილო-კავკასიისაკენ, ე. ი. რუსეთისაკენ. ისინი გარბიან მოუფიქრებლად, თავის-თავის ანგარიშ-მიუცემლად, მომავლის გაუთვალისწინებლად, მხოლოდ კი განთავისუფლდნენ ოსმალეთის ბატონობისაგან. კერძოდ ოსმალეთ სომხებს იმის შიში აქვთ, რომ ოსმალეთის მთავრობამ ამიერ-კავკასიის ახალ მთავრობასთან ზავის შეკვრის დროს შეიძლება მოთხოვნილება წამოაყენოს, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომი სომხები დაუბრუნდნენ კვლავ თავიანთ ადგილებს და ამიერ-კავკასიის მთავრობა იძულებული იქნება, მიიღოს ოსმალეთის ასეთი მოთხოვნილება. სომხების „დაშნაკცუტიუნი რასაკვირველია, წინააღმდეგობას ვერ გაუწევს ამ მოთხოვნილებას. და აი, ამ შიშით აღძრულნი ოსმალეთის სომხები, რადგან დარწმუნებულნი არ არიან რომ თუ დაუბრუნდნენ თავიანთ კერას, ოსმალეთის მთავრობა მათ შუამდინარეში არ უკრავს თავს, ინსტინქტიურად მიისწრაფიან ჩრდილოეთ კავკასიისაკენ, ამიერ-კავკასიის საზღვრებს გარეშე.

ჩვენ გვგონია, რომ ოსმალეთის სომხობის ესეთი შიში უადგილოა, ჩვენ გვგონია, რომ პირიქით, ოსმალეთი ძალიან მოხარული იქნება რომ სომხეთი უსომხებოდ დარჩეს და საეჭვოა, რომ მას გუწრფელი სურვილი ჰქონდეს იმათი დაბრუნებისა. ჩვენის აზრით, საკითხის მთელი მნიშვნელობა და სიძნელე ამაში არაა, არამედ იმაში, თუ სად უნდა დაბინავდნენ ჯერ ეს 250—300.000-დე ოსმალეთის სომხობა და შემდეგ 150—200.000-მდე რუსეთის სომხეთის ლტოლვილები? აქნობამდის ისინი მოკლებული ხელმძღვანელს, წინამძღოლს და მრჩეველს, მხოლოდ ინსტინქტიურად, სტიქიურად ბინავდებიან იქ, სადაც მცირეოდენ უზრუნველყოფას მაინც ჰგრძნობენ, ან ჰფიქრობენ, რომ უზრუნველყოფილი იქნებიან. და ბუნებრივია, რომ ერთი მათი ნაწილი შევიდა იმ ადგილებში, რომელნიც ქართულ ოლქებად ითვლებიან. და აი ქართველი ერის ერთმა განსაზღვრულმა ნაწილმა იწყო ხმამაღლა მოთქმა-ტირილი, რომ მის ქვეყანაში არასასურველი ელემენტი შევიდა და სცდილობს მის მიწა-წყალზე დამკვიდრებას.

კაცთმოყვარეობის თვალსაზრისით შეიძლება დასაგმობიც იყოს ეს კვნესა და დრტვინვა, მაგრამ რეალური ეროვნული პოლიტიკის თვალსაზრისით ქართველების უკმაყოფილება არ შეიძლება უსამართლოდ ჩაითვალოს. რაკი დღეს წამოყენებულია ეროვნულ ტერიტორიების გადამიჯვნის საკითხი, ბუნებრივია, რომ ქართველები ღელავენ და სიმშვიდეს ჰკარგავენ.

ჩვენთვისაც სრულიად სასურველი არაა, რომ ჩვენი ერი განშორდეს თავის სამკვიდრებელ კერას. უაღრესად სამწუხაროა, რომ ამ შემთხვევაშიაც, ისე როგორც ყოველთვის, ჩვენ მოუმზადებელნი ვართ და არ შეგვიძლია ფუხელმძღვანელოთ გადმოსახლებულთა მოძრაობას და მთელი საქმე შემთხვევაზეა მინდობილი. სომხების ეროვნული საბჭო ვალდებულია გაითვალისწინოს ყველა ეს ამბები და გარკვეული პროგრამა შეიმუშაოს ლტოლვილთა მოძრაობის ხელმძღვანელობისა და მის გარკვეულ კალაპოტში ჩაყენებისათვის.

ლტოლვილთა ერთი ნაწილი ფოთისაკენ წავიდა და იმედი ჰქონდა იქიდან ზღვით მიეღწია შავი ზღვის სანაპიროებამდე, მაგრამ დაბრკოლებას წააწყდა.

ნოვოსნობის სავე ბოლშევიკების ხელშია, რომელთაც მხოლოდ ლტოლვილი რუსები გადაჰყავთ, ხოლო სომხებს უარს ეუბნებიან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „დაშნაკცუთიუნმა“ სეიმში მხარი დაუჭირა ამიერ-კავკასიის რუსეთიდან გამოყოფას.

მეორე ნაწილი კავკავის გზით მიდის დონისა და შავი ზღვის მიდამოებისაკენ. მაგრამ აქაც გზები უზრუნველყოფილი არ არის და ამის გამო დიდს იწროებასა და გაჭირვებას იტანენ გაქცეულნი.

ყარსისა და სურმალის ოლქებიდან წამოსული ლტოლვილები თავს იყრიან უმთავრესად ყარაქილისას ან ლორისა და ბორჩალოს მიდამოებში. მაგრამ იქ დიდხანს დარჩენა არ შეუძლიათ და მეტ იწროებას განიცდიან: ერთის მხრით სურსათის საკითხის დიდი სიძნელისა და მეორე მხრით, ბინის საკითხის გამო.

ამ კუთხეების სომხურ სოფლებს არ შეუძლიათ შეიფარონ ლტოლვილთა ეს საშინელი სიმრავლე, რადგან თვითონაც მწვავე გასაჭირში არიან სურსათის მხრით. ხშირი მოსახლეობა, უწმინდურობა, სხვადასხვა გადამდებ სნეულებას გაჩენს, რამაც უკვე ქიდეც იჩინა თავი.

ლტოლვილ სომეხთა დამხმარე უმაღლესმა საბჭომ საგანგებო კომისია გაგზავნა ყარაქილისაში, რომ ამ ცენტრიდან გაუწიოს ხელმძღვანელობა ლტოლვილთა დახმარების საქმეს. თუმცა მთავრობამ გადასდო უმთავრეს საბჭოს განკარგულებაში 7.000 000 მანეთი, მაგრამ ეს თანხა გაჭირვების სიდიდესთან შედარებით ძალიან უმნიშვნელოა.

ამ უბედურებას შეიძლება ეშველოს რამე თუ საზავო მოლაპარაკებამ კარგი ნაყოფი გამოიღო, ზავი შეიკრა და მდგომარეობა გამოირკვა.

ლტოლვილთა საკითხი დღეს ჩვენი მორიგი და სასიცოცხლო საკითხია“.

როგორც ვხედავთ, „მშაკი“ საშინელ ამბებს გადმოგვცემს: გამოქცეულია ნახევარი მილიონი ხალხი! და ეს ხალხი სტიქიურად აწყდება ჩვენს ქვეყანას. საინტერესოა ვიცოდეთ, რად დაიძრა ამოდენა ლაშქარი, როდესაც ოფიციალ ცნობებით ვიცით, რომ ოსმალთა ჯარებს საბაბი არ მიუციათ აყრა გამოქცევისა. გვსურს ვიცოდეთ, რად აუკრძალა სომხურმა ეროვნულმა საბჭომ გამოქცეულთ რუსეთისაკენ წასვლა? ჩანს, იგი დიდს იმედებს ამყარებს ჩვენს სტუმართ მოყვარეობაზე, მაგრამ ფიზიკურად ჩვენი ერიც იმდენ უძლურია—გაუმასპინძლდეს „სტუმრებს“ როგორც ბორჩალოს და ახალციხის სომხობა, რომელთაც ბოლოში მოჰხადა „მშაკმა“. ჩვენის აზრით ხსნა ერთია: ის 7 მილიონი, რაც გადადებულია გამოქცეულთა საზრუნავად, მოხმარდეს მათს უკან დასაბრუნებლად, ან და ისევ რუსეთში წასასვლელად, თუ არა გვსურს, რომ ამ „სტუმართა“ ეპიდემიას და ათასგვარ ავადმყოფობას, რასაც სჩივის „მშაკი“, არ დაერთოს ეროვნული შუღლი და მტრობა. მომენტი მწვავეა, კეთილგონიერებას ჰმართებს მეტი ობიექტივობა და ხნის სხვა გზების აღმოჩენა, თორემ „ყვავს რა აქვს, კაჭკაჭს რას მისცემს“,—რომ ჩვენს ქვეყანას მოაშურებენ?

# ომი
## ახლო აღმოსავლეთი
### პალესტინის ფრონტი

კონსტანტინეპოლი. მაისის 13 იერუსალიმ ნაბლუსის გზის მახლობლად ხელთ ვიგდეთ მტრის პოზიცია. მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა 1 ოფიცერი და 31 ჯარის კაცი. გაზიანის აღმოსავლეთის ფრონტზე მტრის ძლიერი პატრულების თავდასხმა მოვიგერიეთ.

### მესოპოტამიის ფრონტი

ჩვენს მარცხენა ფრთაზე მტერი მზვერავ რაზმებს ამოქმედებდა.

## დასავლეთის ფრონტი
### გერმანეთ ავსტრია-უნგრეთის ცნობა

ბერლინი. მაისის 13. კემმელის მიდამოებში საარტილერიო მოქმედება. ალბერტის სამხრეთ აღმოსავლეთით ინგლისელების თავდასხმა მოვიგერიეთ. მათ მოგერიების დროს ხელთ ვიგდეთ ტყვეები.

### საჰაერო ფლოტის ზარალი

აპრილის განმავლობაში ინგლისელებს ჩამოუგდეთ 12 ჰაეროსტატი და 271 ჰაეროპლანი. ჩვენ დავკარგეთ 14 ჰაეროსტატი და 123 ჰაეროპლანი.

# ქრონიკა
## თბილისი.

◆ **საქართველოს ეროვნულ საბჭოს კრება** მოხდება დღეს საღამოს 7 საათზე. განსახილველია საქართველოს და ამიერ-კავკასიის კონსტიტუციის საკითხი.

◆ **ბოლშევიკების გაფანტვა.** ოჩემჩირიდან იტყობინებიან, რომ მთავრობის ჯარმა და წითელგვარდიელებმა ბოლშევიკთა ბრბოები გაჰფანტეს, მდ. კოდორზე გადავიდნენ და წინ მიიწევენ.

◆ **ფულის დახურდავების შეწყვეტა.** სახელმწიფო ბანკში დროებით შესწყდა ფულის დახურდავება.

◆ **ქართულ უნივერსიტეტის საპატიო წევრი.** ქართულ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ საპატიო წევრად აირჩია ისტორიკოსი და არქეოლოგი პროფ. კონდაკოვი.

◆ **ახალქალაქის მაზრაში.** სეიმის წევრი კ. ა. გაზაზიანი და გაერთიანებულ ცენტრის წევრნი ტ. გ. ავეტისიანი და ა. ა. ისრაელიანი ახალქალაქის მაზრაში იგზავნებიან საგანგებო უფლებებით სადმინისტრაციო და სამხედრო დავალების შესასრულებლად.

◆ **ზაქათალის ოლქში.** შინაგან საქმეთა სამინისტროს შეატყობინეს, რომ ზაქათალის ოლქის კომისარმა მაჰმადიანებმა სომხებს ზაქათალის ოლქიდან გასვლა აუკრძალა, რასაც იმით ასაბუთებს, რომ გზებზე ძარცვა-გლეჯაა გახშირებული; ამას გარდა მაჰმადიანებს ეს დააკმაყოფილებსო. გზებზე მაჰმადიანებსაც სძარცვავენ. მაგალითად ამ დღეებში გაძარცვეს რამდენიმე მაჰმადიანი ქალი, რომელსაც ფეხსამოსიც გახადეს.

◆ **ჯავშნიან მატარებლის მოთხოვნა.** სახდარიდან აგენტი გველესიანი გზათა მიმოსვლის მინისტრსატყობინებს: ს. ს. სარვანის, კიზილ ოტპელოს და სანდარის ადმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეთ განაცხადეს, რომ მე 44 ვერსზე მატარებლების ძარცვის შესაწყვეტად საჭიროა ჯავშნიანი მატარებლის გამოგზავნა. ამ შემთხვევაში ისინი გასცემენ ყაჩაღების მეთაურთ.

◆ **სად. სანაინიდან** საგანგებო საგამომძიებლო კომისიის წევრი ბარსოვი იტყობინება: სად. სანაინზე ორი მატარებელი სდგას—ერთი გადმოხვეწილების. მატარებლების გამოგზავნა აკრძალულია. წინ შიშიანობაა. მცველები არ არიან, არც ჯავშნიანი მატარებელია. უპურობის გამო მგზავრები შიმშილს განიცდიან.

## შეცდომის გასწორება

ეროვნულ საბჭოს კრების ანგარიშში ბოლო სვეტში დასტამბულია: შეკითხვა სომეხ გადმოხვეწილთა შესახებ. უნდა იყოს: საქ. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა სომეხ გადმოხვეწილთა შესახებ.

# საზავო მოლაპარაკება

„ბორბა“ იუწყება: როგორც ბათომიდან ჩამოსული ოფიცერი გადმოგვცემს: ბათომში დღეებით ლაპარაკობენ: გერმანელებსა და ოსმალებს შორის დიდი კამათი და დავაა ატეხილი ბათომის და ბათომ-ბაქოს რკინის გზის გარშემო, რომელთა შესახებ გერმანელები განსაკუთრებულ პრეტენზიებს აცხადებენ. ამბობენ, რომ განჯის და შემახის მაჰმადიანებმა ბათომში გაგზავნეს დელეგაცია, რომელსაც დაავალეს შუამდგომლობა, რათა ისინი ოტტომანის იმპერიის შემადგენელ ნაწილებად მიიღონ.

დელეგაციას მეთაურობს „მუსსავატ“-ის ცნობილი წევრი სულთანოვი.

# საქართველოს ეროვნულ საბჭოში
### მაისის 14 სხდომა

თავმჯდომარეობს გ. ლასხიშვილი. კრება იხსნება საღამოს 8 ს. და 15 წ.

**თავმჯდომარე.** ეროვნულ საბჭოს კრებას ვაცხადებ გახსნილად.

წარსულ კრებაზე ჩვენ მოვისმინეთ ფრაქციათა განცხადება ამიერ-კავკასიის კონსტიტუციის საკითხის შესახებ.

დღესაც ამ საკითხის შესახებ უნდა განვაგრძოთ კამათი.

ჩაწერილი მყავს ორი ორატორი. (სიტყვას თხოულობენ კონ. აფხაზი და შალ. მესხიშვილი).

სიტყვა ეკუთვნის ოსიკო ბარათაშვილს. (ბარათაშვილი დარბაზში არ სჩანს).

სიტყვა ეკუთვნის რევაზ გაბაშვილს.

**რევაზ გაბაშვილი.** (ეროვ.-დემოკ.). წარსულ კრებაზე მოვისმინეთ რამდენიმე პროექტი ამიერ-კავკასიის კონსტიტუციისა, მაგრამ დიდ შეხლა-შემოხლის შემდეგ ვერავითარი დასკვნა ვერ გამოვიტანეთ.

საზოგადოდ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ბჭობას თუ გარდა წყევლიტებს გავლენა არა აქვს, იქ სადაც სწყდება ხოლმე აქ დასმული საკითხები. ამიტომ ჩვენს ეროვნულ საბჭოში მხოლოდ დილებისა და საღამოების გამართვას უნდებით.

ამასთან ჩვენ ერთსა და იმავე საკითხზე რამდენჯერმე ვლაპარაკობთ და დასკვნა კი სულ სხვანაირი გამოდის.

გუშინ ჩვენ მთავრობის წარმომადგენელმა სერგი ჯაფარიძემ წარმოგვიდგინა პროექტი, რომელსაც დაარქვა ფედერატიული კონსტიტუცია.

მან ცენტრალი ორგანო ისეთი კომპეტენციით აღჭურვა, რომ მის გარეშე ეროვნულ საბჭოებს აღარა დარჩათ რა, გარდა კულტურულ მოქმედებისა. მათ დარჩენიათ ან გეოგრაფიულ საზოგადოების ან და განქორწინების ბიუროს ფუნქციათა ასრულება. ბატონმა სერგი ჯაფარიძემ ისეთი ანბანური მაგალითები მოიყვანა თავის აზრის დასამტკიცებლად, რომელთა მოყვანა შეიძლებოდა მხოლოდ საანბანო შკოლაში და არა პოლიტიკურ ორგანოში. მაგრამ ესეც დამახასიათებელია ეროვნულ საბჭოსთვის.

ჯაფარიძემ განაცხადა, ქართველ ერს არ შეუძლიან ცალკე არსებობა, რადგან იგი პატარა არისო. ვისაც სახელმწიფოზე წარმოდგენა აქვს იმან იცის, რომ პატარა ერებსაც აქვთ სახელმწიფო. და ამ პატარა სახელმწიფოსაც უწევენ ანგარიშს. მოიგონეთ ლუქსემბურგის სახელმწიფო. მაშინ, როდესაც გერმანელთა მოწადინა მის ტერიტორიაზე გადავლა მან დედოფალი ავტომობილით შეეგება და პროტესტი განუცხადა. და ეს მთელი პატარა ლუქსენბურგის პროტესტი იყო. წარმოიდგინეთ მის პროტესტს მაინც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა.

ეს შეიძლება ჯაფარიძემ და მის ამხანაგებმა კურიოზად მიიჩნიონ, მაგრამ მთავრობის კაცს ასეთ შემთხვევაში იმის თქმა მაინც აღარ შეშვენის, რომ თუ საქართველო დამოუკიდებელი იქნება იგი უნავთოდ დარჩებაო. წინად ამბობდნენ რომ მდგომარეობა ისეთია, რომ შესაძლოა კონსტიტუცია წყალზე დაწერილი დარჩესო. ჯაფარიძეს კონსტიტუცია კი ნავთზე დაწერილია. განა შეიძლება სხვა დაწინაურებულ სახელმწიფოში ნახოთ ისეთი მთავრობის კაცი, რომელიც კონსტიტუციის დაწერის დროს იტყვის, რომ რაკი ჩვენს სახელმწიფოს ნავთი არა აქვს, მას დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლიანო.

ბ. სერგი ჯაფარიძემ განაცხადა აგრეთვე, რომ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლიან, რადგან მას ოქრო არა აქვს და ფულს ვერ გამოსცემსო.

მე შევეკითხები ბ. ჯაფარიძეს, რა ოქროს ზოდები ჰქონდა კომისარიატს, რომ ფული გამოსცა. დღეს მის ქაღალდის ფულსაც-კი, რომელიც დასვლებით მაშინვე ფერს ჰკარგავს, აქვს გასავალი, ეს იმას მოწმობს, რომ სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ქაღალდის ფული უზრუნველყოფილია არა მარტო მის ოქროთი არამედ სახელმწიფოს ქონებით.

მე ბოლოში ვიხდი რომ თქვენთან ასეთ საანბანო ჭეშმარიტების შესახებ მიხდება საუბარი, მაგრამ რა ვყო, როდესაც მთავრობის წარმომადგენელს ასეთი საანბანო ჭეშმარიტება ვერ შეუთვისებია და ასეთი მაგალითები მოჰყავს თავის აზრის ცხად საყოფად.

მთავრობის წარმომადგენელთა გარდა აქ ილაპარაკეს სხვებმაც. წარმოადგინეს პროექტები, მაგრამ სახელმწიფოს შექმნისთვის ხომ საკმარისი არ არის მარტო პროექტის შედგენა და ამით საბრძოლველად გამოსვლა.

საზოგადოდ ჩვენი მთავრობის დიდი ნაკლი ის არის, რომ კეთილ სურვილების დაწერა კი შეუძლიან, მაგრამ მათ აქლიათ ნების ყოფა მათ განსახორციელებლად.

**თავმჯდომარე.** ეგ საგანს არ შეეხება. გთხოვთ საგანზე ილაპარაკოთ.

**რ. გაბაშვილი.** ესე იგი ჩემი პროექტი წარმოვადგინო?

**თავმჯდომარე.** თუ გაქვთ თქვენი პროექტი წარმოადგინეთ. ამაზე არავის საწინააღმდეგო არა ექნება რა. მთავრობის მოქმედებაზე კი ნუ ლაპარაკობთ, რადგან ეგ საგანს არ შეეხება.

**რ. გაბაშვილი.** წინა კრებაზე გარკვეულად განაცხადეს, რომ ცენტრს უნდა გადაეცეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა მოწესრიგება საერთაშორისო განწყობილებისა, სამხედრო ძალების მოწყობა და საბაჟო და საფინანსო საქმეებიო. ასე რომ ეროვნულ საბჭოებს მეტად უმნიშვნელო საკითხები და დარჩებათ.

ჩვენ წინააღმდეგნი ვართ, რომ ზემოდ მოყვანილი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები გადაეცეს ისეთ ცენტრს, სადაც თავს მოიყრიან ერთი მეორის მოწინააღმდეგე ელემენტები და რა თქმა უნდა ჩვენ წინააღმდეგნი ვიქნებით ისეთ პროექტისა, რომელიც სწორედ ასეთ ცენტრის შექმნას მოითხოვს.

**თავმჯდომარე.** მე ჯერ მსურს გაბაშვილის სიტყვის გამო პატარა შენიშვნის გაკეთება. გაბაშვილს ჰგონია, რომ ჩვენს მუშაობას, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. ეს შემცდარი აზრია.

ჩვენს მუშაობას აქვს მნიშვნელობა, რადგან იმ კომისიაში, რომელმაც კონსტიტუცია უნდა გამოიმუშაოს, შევლენ ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლები.

მეორეც კიდევ, რომ ნაყოფიერი იყოს ჩვენი კამათი, რომ განმეორება არ იყოს, კარგი იქნებოდა თუ ორატორები უმთავრესად ორ მომენტს მიაქცევდნენ ყურადღებას. ეს არის: საკითხი, თუ რა კომპეტენციით იქნება აღჭურვილი ცენტრი და რანაირი ორგანიზაცია იქნება შტატებში.

**პავლე საყვარელიძე.** (ალ.) ორატორები საზოგადოდ ჩვენს მთავრობის სისუსტეზე ლაპარაკობენ. ეს საკითხს არ შეეხება. აქ მთავარი კითხვა ისაა თუ რა უნდა მივანდოთ კონსტიტუციას. ამისთვის საჭიროა ორატორების დროის განსაზღვრაც. მე წინადადება შემომაქვს ორატორების დრო განისაზღვროს 10 წუთით.

**გ. გვაზავა.** (ერ. დემოკ.) მე მსურს ჯერ თქვენი, როგორც თავმჯდომარის შეცდომა აღვნიშნო. თქვენ ბრძანებთ, რომ ორატორებმა უნდა ილაპარაკონ მხოლოდ ცენტრალურ ორგანოსა და მის კომპეტენციის შესახებ. აქ იყო წარმოდგენილი ისეთი პროექტიც, რომელიც სრულებით არ მოითხოვდა ასეთ ორგანოს შექმნას, მაშასადამე ორატორებს შეუძლიანთ ილაპარაკონ ამ ცენტრის წინააღმდეგაც. მეორე საკითხი იმდენად რთულია, რომ ყოვე-

ისინი ნათლად გრძნობდენ, რომ რუსეთთან გერმანიის ორიენტაციით ისინი ვეღარ იპატრონებდენ, მათ აეხდებოდათ პატივი და დიდება. ეს ხდება კიდეც. ამიერ-კავკასიის მიერ 9 აპრილს გადადგმული ნაბიჯი იყო იმავე დროს ზოგიერთ კარიერისტების დაცემა. დაცემა და რბილ სავარძლიდან გადმოვარდნა. ასეთია ულმობელი ისტორია...

ს. ქვარიანი.

# † ილია გაგნიძე

(ნეკროლოგი).

ბრძოლის ველზედ გავიცანი, სოფ. მელლისთან (არტაანის იქით). დამზვერავი რაზმი შეზარა-ყაზახ-რუსეთისა (15 კაცი) და ჩვენი ბიჭებისაგან (4 კაცი). უნდა ვიწრო ხეობაში ჩავსულიყავით, სადაც ოსმალები გამაგრებულიყვნენ. ყაზახებმა უარი განაცხადეს წინსვლაზე. შეიქმნა ყოყმანი. ამ დროს ილია გაგნიძე წამოდგა: „ჩვენ საომრად ვართ წამოსულნი. დაე, ესენი დაბრუნდნენ, ჩვენ კი წინ წავედით, დავიხოცნეთ ან და გავიმარჯვოთო". ყველას გულში მოხვდა მისი სიტყვები. ხუთმა გავწიეთ ბნელ ღამეში კლდე-ღრეზედ და ჩავედით ხევში. გათენებისას ზვერვას შევუდექით. დარწმუნებულიც ვიყავით, რომ ცოცხლები ვეღარ დავბრუნდებოდით. სწორედ ამ დიად და აუწერელ ტანჯვაში გავიცანი პატარა გმირი (18—19 წლისა ილიკო. უშიშარი, სწრაფი, მედგარი, სიცოცხლით სავსე, ამხანაგის ერთგული, სამშობლოს მოყვარული და მებრძოლი. თავის დღეში არ დამავიწყდება ყოველივე (გაჭირვებას და თვით სიკვდილს ღიმილით უყურებდა თვალებში.

გახურებულ სროლაში, როდესაც ყველა მხრიდან მტერი შემოგვერტყა — მიუხედავად იმისა, რომ ილიკოს ჩაბა მკერდ ადგილას იყო ტყვიით გახვრეტილი, მაინც გაიძახოდა: „არა, ვენაცვალეთ, სანამ პირში სული მიდგა თოფს ვერ დავდებ".

რამდენი გრძნობა და ვაჟკაცობა გამოიხატებოდა მის ხმაში! მთელი დღე ჯოჯოხეთად გადაიქცა ჩვენთვის. სამი კაცი დაგვაკლდა. მე და ილიკო გადავრჩით მტერს. ამ ღამემ ნათლად გამაცნო ილიკოს ხასიათი და შეგრძნებული გრძნობა. ერთი საათიც ვერ მოისვენა. მთელი ღამე დაეძებდა თავის ამხანაგებს იმ დროს, როდესაც ხეობა და სოფელი მტრით იყო სავსე. ილიკომ არ იცოდა შიში. მას მხოლოდ ახსოვდა თავის მეგობრები.

გულადი, ძლიერი, გრძნობით სავსე მეგობარი, მოყვარესათვის ნაზი, პატივის მცემელი, მომსახურე, მაგრამ მტრისათვის მკაცრი, გულშეუპოვარი და თავზარდამცემი, რომელმაც თავგანწირულად შესწირა სამშობლოს თავის ვაჟკაცობა, აი, აქ სამშობლოში იმსხვერპლეს ნაძირალებმა. ნუ თუ ამისთანა ადამიანი უნდა იყოს მსხვერპლი ბნელ ძალებისა და ასე უსახელოდ უნდა გაიქროს მისი გმირული გული?

საუკუნოდ იყოს შენი ხსენება ვაჟკაცო ილუშავ.

ი. აბაშიძე.

# ტყვეები ბათუმში

ქ. ზესტაფონის მცხოვრებნი ახალ გაზრდობა რომლებიც იმყოფებიან ტყვედ ქ. ბათუმში.

ჭუმბურიძე შალიკო ილარიონისძე, ჯუღელი მიშა ბესარიონისძე, (დაჭრილია მსუბუქად). არეშიძე მიშა გრიშასძე, ბებიაშვილი ბესიკო ალმასხანისძე, ბარამიძე შოთა მიხასძე, ფერაძე ლადო, სალაძე შალიკო, მუმლაძე კირილე, არაბიძე ალექსანდრე მელიტონისძე, მუმლაძე, ალავიძე მიშა სევასტისძე (დაჭრილია), ჯუღელი ნიკოლა ბესარიონისძე, დარახველიძე ვასიკო ქრისტეფორესძე, ასათიანი ვახტანგ, გოცაძე პეტრე, ბურჯანაძე სერგო, წულუკიძე პიპიკო, გუნცაძე ალიოშა, ლეონიძე ბებე, ყიფიანი, მდინარაძე კალენიკე, საყვარელიძე ალექსანდრე, საყვარელიძე სიმონიკა, საყვარელიძე მიშა, მაჭავარიანი დიმიტრი, საყვარელიძე ვარლამ მიხასძე, საყვარელიძე ვასიკო მიხასძე, და ჯაფარიძეები ძმები.

აი ეს ახალ გაზრდობა არის მხოლოდ მე-8-ე ცხენოსანი პოლკის ჯარის კაცები, რომლების მდგომარეობაც სა-

შიშს არას წარმოადგენს და მოუწოდებ მათ მშობლებს ნუ გაჰყვებიან ცრუ გავრცელებულ ხმებს.

აკაკი ცქიტიშვილი.

# დაეხმარეთ ჩვენ მეომრებს

ქალებო-მოქალაქენო! ჩვენი ქვეყნის საზღვრებზე ჩვენი ღირსებისა და თავისუფლების დარაჯებათ სდგანან მტრის წინაშე ფრონტზე ჩვენი მეომრები. ითმენენ სანგრებში აუტანელ გაჭირვებას, ხშირად სიმშილსა და წყურვილს, ავდარს!

ქალებო-მოქალაქენო! ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი მისი დამცველების ხელშია. თუ მოუხდა იმათ ბრძოლა ჩვენი სამშობლოს ბედნიერების დასაცველად, იმათი ძალა—ჩვენი დამხსნელი ძალა იქნება. მათი უძლურება და დამარცხება ჩვენი და ჩვენი შვილების დამცირება და მონობა არის, თუ ომი არ დაგვჭირდა, მით უფრო მეტს ანგარიშს გაგვიწევენ ჩვენ სხვა ხალხები და სახელმწიფოები, რამდენადაც მეტი ძალა და ბრძოლის უნარი ექნება ფრონტზე ჩვენ მეომრებს.

ქალებო-მოქალაქენო! ჯარის ძალა მარტო თოფი და იარაღი არ არის. მაშინ არის ძლიერი ჯარის კაცი, როცა მას სიკვდილის არ ეშინია, როცა მისი საჭიროება უზრუნველყოფილია. მაშინ გმირულად მიიწევს იგი მტრისაკენ, როცა გრძნობს რომ თავის სამშობლოს უყვარს იგი, რომ მშობელი ხალხი აფასებს იმის ღვაწლს, როცა დარწმუნებულია, რომ ის არ არის უყურადღებოდ მიტოვებული და დავიწყებული თავის მოძმეთა მიერ.

ქალებო-მოქალაქენო! ჩვენმა დედებმა იცოდნენ მეომრების გამხნევება, როცა ისინი თავს სწირავდნენ სამშობლოსათვის, მაშ ჩვენც დავამტკიცოთ, რომ ჩვენ დიდებული წინაპრების ღირსეული შთამომავლობა ვართ.

ჩვენ უნდა მთელი ჩვენი შეერთებული ძალღონით ვეცადოთ, რომ ფრონტს მივაწოდოთ ყველაფერი, რაც მისთვის საჭიროა. ჩვენ უნდა მივსცეთ სანგრებში ჯარის კაცს ყველაფერი, რაც შეამსუბუქებს მის მძიმე ცხოვრებას. ფრონტიდან ისმის ძახილი, მოქალაქენო ნუ თუ ჩვენ, თქვენი დამცველები დავიწყებულნი ვართ. იმათ არა აქვთ პაპიროსი, არა აქვთ ასანთი, რომ ანთებული პაპიროსით მაინც გაათბონ ნესტიან სანგრებში, არა აქვთ ძაფი, რომ დააკერონ დაგლეჯილი ტანისამოსი, არა აქვთ არაფერი. იქნება საჭმელი, რაც ცოტათი მაინც შნოს შესძენს იმათ დარიბულ ქერძს, არა აქვთ არც ერთი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომ მძიმე წუთებში მუსიკამ მაინც შესძინოს მხნეობა.

ქალებო-მოქალაქენო, ნუ თუ ჩვენ დავივიწყებთ იმათ, ვისაც წილად ხვდა ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება. შესწირეთ ყველაფერი რაც შეგიძლიათ, შეაგროვეთ ყოველნაირი შემოწირულება თქვენ ნათესავებსა, მეგობრებსა და ნაცნობებ შორის. გადაეცით ყველა ეს იმ ქალთა წრეს, რომელსაც მიზნადა აქვს დასახული დახმარება ალმოსავლეთ ფრონტზე ჩვენ ჯარის კაცებს. ყველა თქვენი შემოწირულებანი დაუყონებლივ გაეგზავნება იმათ, ვინც ჩვენ სამშობლო მიწას იცავს.

ჩვენი მეომრები სანგრებში, როცა ჩვენ სიყვარულსა და ყურადღებას დაინახავენ უეჭველად იტყვიან: ჩვენ დავიწყებულნი არა ვართ. ჩვენ ვუყვარვართ ერს და ეს სიყვარული მხნეობას შემატებს მათ ბრძოლაში, მისცემს ძალას აიტანონ ბრძოლის ასპარეზზე ყოველნაირი გაჭირვება.

შემოწირულება მიიღება ნივთებისა, ძაფი, ნემსი, საპონი სხვა და სხვა ნამცხვრები, სუხარი, გალეტი, კონსერვები, ასანთი, პაპიროსი, თამბაქო, პაპიროსის ქაღალდი, ფული, გიტარა, ჰარმონია, ჩონგური, დაირა, ფანქრები, ფოსტის ქაღალდი და სხვ. და სხ. მიიღება ქალების წრის წევრებთან.

ნინო ნიკოლოზის ასულ გაბაშვილთან,—კობის ქ. 11.

მაკრინე სიმონის ასულ ჩხენკელთან,—სოლოლაკი, სასტუმრო „ინტერნაციონალი".

მარიამ ქაიხოსროს ასულ რამიშვილთან,—კიროჩნი ქ. № 48.

ანნა ივანეს ასულ ხომერიკთან, მატინოვის ქ. 25.

ნინო ნაკაშიძესთან,—„ნაკადულის" რედაქციაში დავითის ქ. 2.

# ვასწავლით

ქართულ ხიმღერა-გალობას და

ვამზადებთ მომღერალ-მგალობლებს დიდ და მუდმივ სახალხო გუნდისათვის. მიღება და ჩაწერა ძმ. კავსაძეებთან (ქართულ ბანკში და ქალაქის გამგეობაში).

ხწავლა-გარჯიშობა: ჩუღურეთის ნიკოლოზის კლასი. სამშაბ. და პარასკევობ. საღ. 5—8 ს. გამოცდილნი მომღ.-მგალობლნი მიიღებიან ჯამაგირით.

3—2

# ექიმი

# დონხინი

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასისტენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს

დილის 10—12 ს. საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76. (საიკინის ხიდის ხაგეჭიმოს).

ტელეფონი 7—38.

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

ქალაქ თბილისის

# ცენტრალ კომიტეტის

ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე (სასახლის ქ., № 5, ტელ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

თბილისში მცხოვრებ პარტიის წევრებს ევალებათ მიიღონ სათანადო საუბნო ორგანიზაციებისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებაზე დასწრება აეკრძალებათ.

# ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე.

# სამკურნალო

## სამხედრო სპეციალისტ-ექიმების—გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

დიდ ვანქის ქუჩა № 8. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელ. № 481.

ექიმი ასპისოვი—ყელის, ყურის და ცხვირის. ყოველდღე 12—1 საათამდის.
ექ. ახვლედიანი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 11—12 ს.
ექ. ბილდანოვი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 10—11 ს.
ექ. ჩუდნოვსკი—ნერვების, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკევობით 12—1 საათ.
ექ. ერმოლაევი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 1—2 ს.
ექ. ბოგოვსკი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 12—1 ს.
ექ. ვაშჩენკო—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე საღ. 3—4 ს.
ექ. სურომცოვი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 4—5 ს.
ექ. შვინაც—თვალების ავადმყოფობის. ორშ., ოთხშ. და პარასკევობით 2—3 ს.
ექ. ივანოვი—თვალების ავადმყოფ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით 2—3 ს.
ექ. ყალამქაროვი—ქალთა და საბებიო. ყოველდღე 1—2 ს.
ექ. ნოვიცკი—ქალთა და საბებიო. ყოველდღე 2—3 საათ.
ექ. ძალი ლოხილიანი. ქალთა და საბებიო. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 11—12 ს.
ექ. ძალი ფირადოვი—ქალთა და საბავშვო სამშაბათობით, ხუთშაბათობით შაბათობით და კვირაობით. 11—12 ს.
ექ. შამაში—ქირურგიული (დოსტაქარი). ყოველდღე 11—12 საათზე.
ექ. ფირადოვი—ქირურგი. ყოველდღე $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე.
ექ. ბარნაშვ-ტროცკაია—სადოსტაქრო ავადმყოფ. ყოველდღე 2—3 საათ.
ექ. ცანდერი—სადოსტაქრო ავადმყოფ. ყოველდღე 4—5 საათ.
ექ. კიკელია—კანის და ვენერიულ ავადმყოფობის ყოველდღე 12—1 ს.
ექ. არხიპოვი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფობის 4—5 საათ.
კბილის ექ. ალიხანოვი—ყოველდღე 10—12 საათ.
კბილის ექ. ნურადოვი—ყოველდღე 3—5 ს.

ოპერაციები მორიგეობით, კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ანალიზი, ჰიპნოზი, მოსამსახურეთა და ძიძების გასინჯვა, სათვალების შერჩევა ფასი დარიგებისათვის 1 მ. 50 კ. 15—1

## მომხმარებელ საზოგადოების

# „დახმარების"

გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ საზოგადოების საქმე გაფართოვდა და ამ კვირას, აღდგომის წინა დღეებში, გაიხსნა განყოფილება.

მთავარი მაღაზია მოთავსებულია ერევნის მოედანზე, ყოფილ ძმ. ფორაქიშვილების მაღაზიაში, ხოლო განყოფილება—ოლდას ქუჩაზე,—იქ, სადაც დღეს იმყოფება „დახმარება".

საზოგადო კრების დადგენილებით თითო წევრმა უნდა გადიხადოს 5 მ. საწევრო ფული და 50 მ. საპაიო გადასახადი. წინად მიღებული ფული ჩაითვლება ამ თანხაში, ისე რომ ვისაც გადახდილი აქვს 13 მანეთი, უნდა ხახქაროდ შემოიტანოს დანარჩენი 42 მანეთი.

ფულის შეტანა და წევრად ჩაწერა შეიძლება დღეიდან ორსავე ზემოხსენებულს მაღაზიაში. აგრეთვე: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (ივ. ავალიშვილთან) და გაზეთ „საქართველოს" კანტორაში (ეგვენი გეგეჭკორთან).

ერევნის მოედანზე მაღაზია გაიღო აღდგომის წინა დღეებში.

# კახეთის კავშირი

კოოპერატიულ დაწესებულებათა ამით აუწყებს საზოგადოებას რომ რწმუნებულთა

# წლიური კრება

დანიშნულია 20 მაისისთვის (ახალი სტილით) ქ. თელავში.

3—1616—1

## თბილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა

# დროებითი საბჭო

ამით აცხადებს ქართველ ვაჭართა და მრეწველთა საყურადღებოდ, რომ დღიდან ამის გამოცხადებისა მალე, თანახმად ქართველ ვაჭართა და მრეწველთა 12 მაისის საზოგადო კრების დადგენილებისა, ეძლევათ ერთი კვირის ვადა იმ ფულის შემოსატანად, რომელიც მათზეა გაწერილი საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ.

ვინც ამ ვადის განმავლობაში არ შემოიტანს ფულს, მათი სახელი და გვარი გაზეთებში იქნება გამოცხადებული, ხოლო ვისაც არც ეს ზომა იქონიებს გავლენას, მათ წინააღმდეგ იქნება მიღებული სასტიკი იძულებითი ზომები.

5—950—2

## მომხმარებელ საზოგადოების

# „დახმარების" გამგეობა

იწვევს კვირას, მაისის 19-ს (ახალის სტილით) ქართულ კლუბის დარბაზში

# წევრთა საზოგადო კრებას

ანგარიშის და ხარჯთაღრიცხვის განსახილველად, წოდების გასანაწილებლად, გამგეობის და სარევიზიო კომისიის ასარჩევად.

უკეთუ წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო პირველი კრება ვერ გაიმართა, ამ შემთხვევაში კვირას, თიბათვის 2-ს (ახალის სტილით) იმავე ადგილას დაინიშნება მეორე ხაერთო კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა.

წევრებს, ვისაც დღემდე არ შეუტანიათ დამატებითი 42 მანეთი, დაუყონებლივ უნდა შეიტანონ ეს ფული და მიიღონ ახალი საწევრო წიგნაკები.

## მარტის 20 გაიხსნა ახალი

# სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

სავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

## სამკურნალო კაბინეტი ექიმ

# ალექსანდრე დავითის ძის

# კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ ტელეფონი 14—28.

## დოსტაქარი მეციანობა

მოსე ანთიმოსის ძე

# კალანდარიშვილი

ყოფილი ასისტენტი ქირ. კლინიკისა ... მოსკოვისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელ. № 17—21.

# ექიმი

# მ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და ხიხხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ზიმ-მონდის" პირდაპირ.

თ—1018—34

# ექიმი

# ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად შაქარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

თ—1536—15

# ექიმი

## დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

# ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გარის ქუჩა № 6, დიდუბე.

ტელეფონი 14—37

1ო—960—42